ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

GEORGIA. CHAIRMAN OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

დ.მესტია	30.07 .2021 წ.

საქართველო, დ.მესტია. სეტის მოედანი #1
ტელ: (995 790) 771031; (995 599)855540
www.mestia-sakrebulo.ge ელ.ფოსტა: mestiis.mun@gmail.com

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N–23

მესტიის მუნიციპალიტეტის დაბა მესტიაში გაბლიანის ქუჩა N-13-ში მდებარე მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანების შენობა-ნაგებობისათვის ექიმ ადილარ ჩართოლანის სახელის მინიჭების შესახებ:

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 18/09/2020წ. N-1188. წარმოდგენილიქნა მესტიის მუნიციპალიტეტის მერი-ს ინიციატივა, გეოგრაფიულო ობიექტის: **მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანების შენობა-ნაგებობისათვის** საქართველოს დამსახურებული ექიმის ადილარ ჩართოლანის სახელის მინიჭების შესახებ საკითხი. ვინაიდან საქრთველოს კანონმდებლობა **გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის პირთან დაკავშირებულ სახელდებას ითვალისწინებს პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ იმსჯელა ამ წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობაზე და „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის N-239 დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება სახელდების წესიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ. საკრებულომ გადაწვეტილების მიღებისას გაითვალისწინა ადილარ ჩართოლანის** განსაკუთრებული დამსახურებები ერის და სვანეთის მოსახლეობის წინაშე, გაითვალისწინა ის გარემოება რომ , სწორედ ამ სავადმყოფოს უკავშირდება ადილრ ჩართოლანის მოღვაწეობის დაწყება მესტიის მუნიციპალიტეტში, სადაც იგი სიცოცხლის ბოლომდე მაღალი პროფესიონალიზმით და დიდი პასუხისმგებლობით ემსახურება საკუთარ ხალხს. ამ განსაკუთრებული დამსახურებების, მესტიის მუნიციპალიტეტის მერი-ს 18/09/2020წ. N-1188 მომართვის, მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანების სამედიცინო პერსონალის ერთობლივი განცხადების, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისის დასკნის, **„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24 მუხლის „1“-ლი პუნქტის „ა.ე“-ქვეპუნქტის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის N-239 დადგენილების,** გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების,

გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას 2021 წლის 19 ივლისის სხდომის ოქმი N27 შესაბამისად:

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მესტიის გამუნიციპალიტეტის დაბა მესტიაში გაბლიანის ქუჩა N-13-ში მდებარე მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანების შენობა-ნაგებობას მიენიჭოს: დამსახურებული ექიმის, უმაღლესი კატეგორიის ქირურგისა და გინეკოლოგის,ღირსების ორდენის მფლობელის „ადილარ ჩართოლანი“ სახელი. თანდართული რუკის თანახმად.

2.მესტიის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში,უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის N-239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად: მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპრატმა უზრუნველყოს ამ განკარგულების გაგზავნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში, სამისამართო რეესტრის ელექტრონულ პროგრამაში საბოლოო რეგისტაციისათვის.

4. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპრატს დაევალოს ამ განკარგულების მიღებიდან 10 დღის ვადაში უზრუნველყოს სამართლებრივი აქტის გაგზავნა: სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს,შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის.

5.განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

6.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზუგდიდი. გრ. ქობალიას ქ.N 12)

მაიზერ ჯაფარიძე

Mestia Municipality

Digitally signed by Mestia Municipality
Date: 2021.08.03 12:43:32 +04'00'

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე